ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 306

„12“ ივლისი 2024 წ

ქ. თბილისი

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - არჩილ გორდულაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 2¹ მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის, 42-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 27 ივნისის დადგენილების (N4289-XIVმს-Xმპ) თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს - არჩილ გორდულაძეს, ვადამდე შეუწყდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2024 წლის 28 ივნისიდან.

**მუხლი 2.** განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე